ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

3124353
12/15212727-16
19.10.2015

ალექსანდრე კვირკველია (62001016420),
მაზნიაშვილის ქ. #4

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N12/15212727-16 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებობის ნებართვა) 05.02.2015წ. N1717055 ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში (სექტორი - ჩუღურეთი) ურიცკის ქ. N26/ ურიცკის ქ. N24-ში თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

ფასადი „ა-თ“ : ნაწილობრივ შეცვლილია კარებისა და ფანჯრების ნახატები და გაბარიტები. შეცვლილია მოაჯირების ნახატები. „ა-ა“ ღერძთან შეცვლილია კარების გარშემო აგურის წყობა, ხოლო +0.00 ნიშნულზე მოწყობილია კედელი. იგივე ნიშნულზე „ა-დ“ მონაკვეთში და „თ-თ“ ღერძთან ფანჯრებზე მოწყობილია გისოსები, ფანჯრებს მონაცვლებული აქვთ ადგილები. +2.40 ნიშნულზე ფრანგული აივნის ქვეშ მდებარე გადახურვის ძირი გასქელებულია.

ფასადი „6-1“ : +12.05 ნიშნულზე ქანობიანი სახურავის ნაცვლად მოწყობილია ბრტყელი გადახურვა. +8.35 ნიშნულზე შეცვლილია აივნის ტიხრის სიმაღლე, ნახატი და მასალა.

ფასადი „1-6“ : შეცვლილია ფასადის მოპირკეთება. +8.35 ნიშნულზე შეცვლილია აივნის ტიხრის სიმაღლე, ნახატი და მასალა.

ფასადი „თ-ა“: შეცვლილია ფასადის მოპირკეთება. „დ-დ“ ღერძთან მდებარე ღიობები გაუქმებულია. შეცვლილია „დ-ბ“ მონაკვეთში ღიობების ნახატი, გაბარიტები და მდებარეობა. შეცვლილია ფრანგული აივნების მოაჯირების ნახატები, გაუქმებულია მათ ქვეშ მდებარე ფილები. +0.00 ნიშნულზე „დ-ა“ მონაკვეთში კარებს მონაცვლებული აქვთ ადგილები, ღიობი გაუქმებულია. +2.40 ნიშნულთან მოწყობილია გამათბობლის ქვაბი. დამატებულია რიგელი. საქვაბეზე მოწყობილია ლითონის კიბე.

-3.65 ნიშნული: შეცვლილია სარდაფის სართულის ფართი .

-0.15 ნიშნული: „1-2“ მონაკვეთში „ე-ე“ ღერძზე გაზრდილია კედლის სიგრძე. შეცვლილია საქვაბის გაბარიტები, მოწყობილია კაპიტალური კედლები. „დ-ბ“ მონაკვეთში „2-2“ ღერძის მარცხნივ მოწყობილია კიბეები. „1-2“ მონაკვეთში „ბ-ბ“ ღერძთან მოწყობილია კაპიტალური კედელი. ეზოში მოწყობილია დაბალი კაპიტალური კედელი და მსუბუქი გადახურვა.

+8.35 ნიშნული: შეცვლილია გადახურვის პერგოლის მასალა.

+11.15 ნიშნული: მოწყობილია გამწოვი შახტები. შეცვლილია კიბის უჯრედის ადგილმდებარეობა და გაბარიტი. დამატებულია მსუბუქი გადახურვა. არსებულ ნაწილზე დამატებულია მოაჯირი. შემცირებულია „5-5“ ღერძში კაპიტალური მოაჯირის სიგრძე. შეცვლილია კაპიტალური მოაჯირის სიმაღლე.

ფასადებზე დამატებულია კონდიციონერები, წყალგამყვანი და გამწოვი მილები. „ა-ა“ ღერძთან შენობის შიგნით გაუქმებულია კიბე. „ბ-დ“ მონაკვეთში სართულებზე გაუქმებულია კიბეები. გაზრდილია +5.70 და +8.35 ნიშნულებზე სართულის სიმაღლეები.

შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია, ხოლო გადახურვის მასალები პროექტში სრულად არ არის ნაჩვენები.

არსებული შენობა არ შეესაბამება პროექტში არსებულს. შეცვლილია ღიობების გაბარიტები და

ადგილმდებარეობა. ნაწილობრივ შეცვლილია კედლის ფორმები და მოპირკეთება.

დამატებით განვმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25[1]-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

პატივისცემით,

თბილისის მუნიციპალიტეტის მერია / ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე